



## საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N11 – Pay Sticker

1. **Pay Sticker**-ი წარმოადგენს **დამატებით ბარათს**, რომელიც შესაძლებელია იყოს Visa ან Mastercard საერთაშორისო საბარათე სქემაში ჩართული ნებისმიერი სადებეტო ან საკრედიტო ტიპის **ბარათის** (გარდა sCool Card, Student Card და Maxima ბარათებისა) **დამატებითი ბარათი**.
2. **Pay Sticker**-ი დაკავშირებული იქნება შესაბამისი ძირითადი ბარათის ანგარიშთან და შესაბამისად გადახდა განხორციელდება ამ ანგარიშიდან.
3. **Pay Sticker**-ის საშუალებით შესაძლებელია შემდეგი სახის **ოპერაციის** განხორციელება:
  - 3.1. თანხის გადახდა (პოს-ტერმინალის მეშვეობით, საქონლის ან/და მომსახურების საფასურის უნაღდო ანგარიშსწორების წესით გადახდა, ასევე ქ. თბილისის მუნიციპალური ტრანსპორტით (მეტრო; M3 კატეგორიის ავტობუსი, საბაგრო გზა, მიკროავტობუსი) და ქ. ბათუმის მუნიციპალური ტრანსპორტით (ავტობუსით) მგზავრობის საფასურის გადახდა).
  - 3.2. **უკონტაქტო აპლიკაციის** მეშვეობით **ბანკის** ბანკომატიდან თანხის განაღდება.
4. **Pay Sticker**-ის საშუალებით შესაძლებელია **კლიენტმა** გაიაროს იდენტიფიკაცია **თვითმომსახურების ტერმინალთან**.
5. **Pay Sticker**-ი აღჭურვილია **უკონტაქტო აპლიკაციით**, რომლის საშუალებითაც მაქსიმუმ 100 (ასი) ლარის ფარგლებში გადახდის **ოპერაციის** შესრულება წარმოებს **PIN კოდის** გარეშე.
6. თუ **Pay Sticker**-ის მფლობელი სარგებლობს **ბანკის** ურთიერთობის პროგრამა PLUS-ით, მაშინ **Pay Sticker**-ის გამოყენებისას წარმოებს PLUS ქულების დარიცხვა (PLUS ქულების დარიცხვის, მათი გამოყენების/გადაცვლის წესი და სხვა დამატებითი პირობები ხორციელდება ურთიერთობის პროგრამა PLUS-ის პირობების შესაბამისად, რომელიც განთავსებულია ვებ-გვერდზე [www.bankofgeorgia.ge](http://www.bankofgeorgia.ge).)
7. **Pay Sticker**-ზე, როგორც **დამატებით ბარათზე** სრულად ვრცელდება **საბანკო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დანართი N5** - ბარათის პირობები, რომელიც განთავსებულია ბანკის ვებ-გვერდზე: [www.bankofgeorgia.ge](http://www.bankofgeorgia.ge).